



სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის  
ლიჩქტორი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

17

10

2019 წ.

№ 280

ქ. თბილისი

საექსპერტო კომისიის შექმნის თაობაზე

„ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ 2000 წლის 5 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად და „სსიპ - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს №3/255 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის შესაბამისად ვბრძანებ:

1. 2019 წლის 17 ოქტომბერს შეიქმნას წარმოებაში ჩაშვებულ ქართულ-თურქული ერთობლივი წარმოების სრულმეტრაჟიან მხატვრულ ფილმზე „ხიდი“ (რეჟ.ე.ბადურაშვილი) პროდიუსერი: სს „ქართული ფილმი“) თანხის დამატების განმხილველი საექსპერტო კომისია 3 წევრის შემადგენლობით:

1. რამაზ ხოტივარი - (რეჟისორი);
2. ნინო მხეიძე - კინომცოდნე;
3. გივი ოდიშარია - სცენარისტი;

2. დაევალოს საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (შემდგომში-კინოცენტრი) იურისტს გააფორმოს შრომითი ხელშეკრულებები საექსპერტო კომისიის წევრებთან და შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვროს კომისიის წევრთა შრომის ანაზღაურება და ხელშეკრულების ვადა.

3. წინამდებარე ბრძანებას თან დაერთოს კომისიის წევრებად მოწვევის თაობაზე წერილობითი დასაბუთება და კომისიის წევრების CV.

4. დაევალოს კინოცენტრის პიარ მენეჯერს გვანცა ზაქარეიშვილს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების კინოცენტრის ვებ-გვერდზე განთავსება.

5. ბრძანება ძალაშია კინოცენტრის ვებ გვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

დირექტორის  
მოვალეობის შემსრულებელი

ნ. კუხალაშვილი

ნინო კუხალაშვილი

წერილობითი დასაბუთება გივი ოდიშარიას კომისიის

წევრად მოწვევის თაობაზე


საექსპერტო კომისიის წევრის პოტენციური (შესაძლო) კანდიდატის გივი ოდიშარიას პერსონალურ მონაცემების გაცნობის შემდეგ მის მიერ წარმოდგენილი CV-ს საფუძველზე, მივიჩნევ, რომ გივი ოდიშარიას განათლება, სამუშაო გამოცდილება, კვალიფიკაცია და პროფესიული თვისებები იძლევა სრულ საფუძველს, მოწვეულ იქნას იგი საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1979-1981 წლებში გივი ოდიშარიამ გაიარა მოსკოვის ორწლიანი უმაღლესი სასცენარო და სარეჟისორო კურსები, ხოლო 1985-86 წლებში სარეჟისორო სტაჟირება გიორგი შენგელაიასთან. 1982-2002 წლებში გივი ოდიშარია მუშაობდა „მეცხრე არხის“ სცენარისტად და რეჟისორად, 2007-2014 წლებში იგი საზოგადოებრივი არხის რედაქტორია, ხოლო 2014 წლიდან დღემდე საზოგადოებრივი მაუწყებლის დოკუმენტური ფილმების სტუდიის რეჟისორია. 2004 წლიდან გ.ოდიშარია პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევათეატრისა და კინო უნივერსიტეტში, ასევე თექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე. მას ჩატარებული აქვს მასტერკლასები კინოდრამატურგიაში რიგის, ვილნიუსისა და კიევის კინოფესტივალებზე.

გივი ოდიშარიას, როგორც რეჟისორს, გადაღებული აქვს ფილმები: „მე მესიზმრება თბილისი“, „თბილისობა“ და „დღესასწაული“, იგი სცენარის ავტორია 10-მდე მხატვრული და დოკუმენტური ფილმისა, მათ შორის, „დახატული წრე“, „ჩიორა“, „კარიერი“, „3-1“ და სხვა., რომლებსაც მოპოვებული აქვთ ჯილდოები და დიპლომები სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალებზე.

გივი ოდიშარიას მაღალი პროფესიონალიზმის, დიდი გამოცდილების, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობისა და კოლეგებში კარგი საქმიანი რეპუტაციის გათვალისწინებით ვიწვევ მას საექსპერტო კომისიის წევრად.

დირექტორის მოვალეობის  
შემსრულებელი



ნინო კუხალაშვილი

წერილობითი დასაბუთება რამაზ ხოტივარის

კომისიის წევრად მოწვევის თაობაზე

საექსპერტო კომისიის წევრის პოტენციური (შესაძლო) კანდიდატის, რამაზ ხოტივარის პერსონალურ მონაცემების გაცნობის შემდეგ მის მიერ წარმოდგენილი CV-ს საფუძველზე, მივიჩნევ, რომ რამაზ ხოტივარის განათლება, სამუშაო გამოცდილება და კვალიფიკაცია იძლევა სრულ საფუძველს, მოწვეულ იქნას იგი საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში.

რამაზ ხოტივარს განათლება მიღებული აქვს საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის თეატრმცოდნეობის ფაკულტეტსა და მოსკოვის საკავშირო კინოინსტიტუტის კინორეჟისურის ფაკულტეტზე. 1969 წლიდან დღემდე, მას გადაღებული აქვს არაერთი მხატვრული და დოკუმენტური ფილმი, რომლებმაც საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს და მიღებული აქვთ მრავალი პრესტიჟული ჯილდო შვეიცარიის, შვეციის, რუსეთის, უკრაინის, უზბეკეთის, იუგოსლავიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, ბელგიისა და სხვა საერთაშორისო კინოფესტივალებზე.

1986-92წწ. რამაზ ხოტივარი იყო კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ახალგაზრდული შემოქმედებითი გაერთიანება „ადამ და ევას“ სამხატვრო ხელმძღვანელი.

რამაზ ხოტივარს აქვს დიდი გამოცდილება არა მხოლოდ როგორც ფილმების რეჟისორს, არამედ როგორც სცენარისტსა და პროდიუსერს. 1975 წლიდან დღემდე ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას შ. რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში.

კინოს სფეროში მუშაობის ხანგრძლივი და წარმატებული გამოცდილების, პროფესიონალიზმისა და პრინციპულობის გათვალისწინებით ვიწვევ რამაზ ხოტივარს საექსპერტო კომისიის წევრად.

დირექტორის მოვალეობის  
შემსრულებელი

ნ. კუხალაშვილი

ნინო კუხალაშვილი

წერილობითი დასაბუთება ნინო მხეიძის კომისიის

წევრად მოწვევის თაობაზე

საექსპერტო კომისიის წევრის პოტენციური (შესაძლო) კანდიდატის, ნინო მხეიძის პერსონალურ მონაცემების გაცნობის შემდეგ მის მიერ წარმოდგენილი CV-ს საფუძველზე, მივიჩნევ, რომ ნინო მხეიძის განათლება, სამუშაო გამოცდილება და კვალიფიკაცია იძლევა სრულ საფუძველს, მოწვეულ იქნას კონკურსის საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში.

1986 წელს შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინტიტუტის კინომცოდნეობის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ნ. მხეიძემ სწავლა განაგრძო მოსკოვის კინემატოგრაფიის საკავშირო უნივერსიტეტის ასპირანტურაში. 1993-2010 წლებში ნ. მხეიძე ეწეოდა სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში. 2007-2010 წლებში იგი არის ამავე უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე. 2010 წლიდან დღემდე ნ. მხეიძე არის ილიას უნივერსიტეტის ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი, იგი კითხულობს სალექციო კურსებს მსოფლიო კინოს ისტორიაში, ქართული კინოს ისტორიაში, კინოს თეორიასა და პრაქტიკაში.

ნინო მხეიძეს გამოქვეყნებული აქვს არაერთი სამეცნიერო შრომა კინოს თემატიკაზე, მონაწილეობა აქვს მიღებული საერთაშორისო კონფერენციებზე, წაკითხული აქვს სალექციო კურსები ბოსტონსა და ვაშინგტონში.

ნ. მხეიძის პროფესიონალიზმის, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობის, კოლეგებში კარგი საქმიანი რეკუტაციის, კინოს ისტორიისა და პრობლემების საფუძველიანი ცოდნისა და პიროვნული თვისებების გათვალისწინებით ვიწვევ მას საექსპერტო კომისიის წევრად.

დირექტორის მოვალეობის  
შემსრულებელი

ნ. აუბი

ნინო კუხალაშვილი

ნინო მხეიძე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი.

2010 წლიდან-დღემდე, ილიას უნივერსიტეტის ხელოვნების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მკვლევარი, ასოცირებული პროფესორი. ვარ კინომცოდნეობის პროგრამის ხელმძღვანელი, ვასწავლი მსოფლიო კინოს ისტორიას, ქართული კინოს ისტორიას, კინოს თეორიასა და პრაქტიკას ბაკალავრის და მაგისტრატურის დონეზე. მყავს როგორც ხელმძღვანელს 4 დოქტორანტი.

2013წ. –GIPA-მიწვეული პედაგოგი-მსოფლიო კინო ისტორიის მოკლე კურსი

2014წ.-კინოცენტრის, განათლების სამინისტროს და კულტურის სამინისტროს ერთობლივი პროექტის „კინო სკოლაში“ მონაწილე მცხეთა-თიანეთის რეგიონში

1993-2010 წლამდე ვეწეოდა სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში

2007-2010 წწ. ამავე უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე.

1988-89წწ. . მოსკოვის კინემატოგრაფიის საკავშირო ინსტიტუტის ასპირანტურა.

1986 წ. შ. რუსთაველის სახ. სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი კინომცოდნეობის ფაკულტეტი

#### სხადასხვა წლებში:

2013წ.ზაფხულის ნომრის FILMPRINT რედაქტორი

2013წ.-აგვისტო სარაევოს საერთაშორისო ფესტივალზე საქართველოს დელეგაციის წევრი

2010-2014წწ. საერთაშორისო ფესტივალ „პრომეთეს“ საკონკურსო ფილმების სელექციის მონაწილე

2007წ .ამსტერდამი, სილექტის სტუდენტური ფილმების საერთაშორისო დათვალიერება მონაწილე

2002-2005 წწ. გაზეთი „კულტურა“, ერთ-ერთი დამფუძნებელი და რედაქტორი;

2002წ. ტელეკომპანია „იმედი“ რედაქტორი,

2001-2002წწ.ტელეკომპანია „მე-9 არხი“- პროგრამების მთავარი რედაქტორი,

1998-1999წწ. ტელეკომპანია „იბერია“ საავტორო გადაცემები: „ატალანტა“ და „ქართული კინო-90“.

1997წ.საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის წევრი, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი.

1990-1992წწ.-ქართული კინოგაზეთის „სარკმლის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და რედაქტორი, „კინომუზეუმის“ თანამშრომელი.

1989წ.ქალ კინემატოგრაფისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი.

#### სამეცნიერო შრომები:

სისტემატიზატორები-მსოფლიო კინოს სათავეებთან, ქართული ტელეფილმი თანამედროვე ეტაპზე, ალავერდობიდან- ანემიამდე, პოსტსაბჭოთა ქართული კინო გმირის მოლოდინში, მიხეილ კალატოზიშვილო, ანემიიდან – ატუ-ალაბა-ოტელ კალიფორნიამდე, მონტაჟის თეორიის ზოგიერთი ასპექტები, რა შეუძლია კინოს და სხვა.

ვიბეჭდებოდი პერიოდულ პრესასა და ჟურნალ- გაზეთებში.

#### სხვადასხვა დროს მიღებული მაქვს მონაწილეობა კონფერენციებში:

ბოლშევისა და ბიჭვინთის საკავშირო კონფერენციები.

იურმალის საერთაშორისო ქალ-კინემატოგრაფისტთა კონფერენცია.

აშშ. ლექციები ქართულ კინოზე ბოსტონსა და ვაშინგტონში.

კინოსექტორი და ფსიქოლოგიის ინსტიტუტს კონფერენცია ფსიქოლოგია და კინო.

კინოს ისტორიისა და თეორიის კვლევითი ცენტრი-ქართული ტელევიზიის პრობლემები.

კინოსექტორი და კინოკავშირი- ბოლო წლების ქართული კინოს თემატურ- ესთეტიკური ტენდენციები. (2005-2010)

სამეცნიერო კონფერენცია- ქართულ კულტურაში მიმდინარე პროცესები XXსაუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე.

სამეცნიერო კონფერენცია – თანამედროვე ეპოქა და კინოპროცესი.

ვარ ერთ-ერთი ავტორი დამხმარე სახელმძღვანელოსი:

2006-2007წწ.ქართველი კინორეჟისორები – I ნაწ. II ნაწ. შ. რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის გამომცემლობა 2006-2007 წ.წ.

2012წ.ყველა დროის 12 საუკეთესო ქართული ფილმი(ქართულ-ინგლისურ ენაზე) (ერთ-ერთი ავტორი და რედაქტორი)

ენები: ქართული მშობლიური, რუსული კარგად, ინგლისური საშუალოდ

ქ.თბილისი, ზანდუკელის ქ. 7. ტ.299 66 78, 595 30 50 16.  
ელ.ფოსტა [nino.mkheidze@iliauni.edu.ge](mailto:nino.mkheidze@iliauni.edu.ge)

## CV

გივი ოდიშარია

განათლება:

1968-1973 - საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი

1972-1975 - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1979-1981 - მოსკოვის ორწლიანი უმაღლესი სასცენარო და სარეჟისორო კურსები

1985-1986- სარეჟისორო სტაჟირება გიორგი შენგელაიასთან

პროფესიული საქმიანობა:

1982-2002 - კინოსტუდია “ქართული ფილმი” სცენარისტი და რეჟისორი

2002-2004 - “მეცხრე არხი” სცენარისტი და რეჟისორი

2007-2014.01.10- საზოგადოებრივი მაუწყებელი, რედაქტორი.

2014-დან დღემდე საზ.მაუ-ს დოკუმენტური ფილმების სტუდიის სცენარისტი.

ფილმები:

1976 - მხ. ფ. “კარიერი”

1985 - მხ.ფ. “ჩიორა” მინსკის კინოფესტივალის მთავარი პრიზი.

1989 - მხ.ფ. “დახატული წრე”

1989 - მხ.ფ. “დღესასწაული” კლერმონ-ფერანის კ/ფესტივალის დიპლომი

1995 - რადიოპიესა “კარუსელი” კიოლნის რადიოს კონკურსის ლაურეატი

2004-07 - სარეკლ. ფილმები “მესიზმრება თბილისი”, “გზა ოაზისისკენ”, “ურეკი”

2007 - კინოპროექტი “ნატურმორტი 1937” შვეიცარიის განვითარებისა და

მხარდაჭერის ფონდის კონკურსის გამარჯვებული.

2011 - დოკ. ფილმი “რამინი” პრიზი ზაგრების და კიევის ფესტივალებზე.

მონაწილე ნიონის, მოსკოვის, ლისაბონის, ვილნიუსის, რიგის, თბილისის

ფესტივალების. 2012 წელს წარდგენილი იყო “ოსკარზე” ლიტვიდან.

სალექციო კურსი კინოდრამატურგიაში:

თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი - 1994 წლიდან დღემდე

ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკ-ი - 1996-1999

”მასკი” - 2004-2008

მასტერკლასები კინოდრამატურგიაში-რიგის, ვილნიუსის, კიევის ფესტივალებზე

უნარები - ენები: ქართული(მშობლიური), რუსული(თავისუფლად) ინგლისური და


ფრანგული (საშუალოდ);

კონტაქტი: მობ: 577174033, e mail: [odisari@yahoo.com](mailto:odisari@yahoo.com)

რამაზ (ბუბა) ხოტივარი

123. 06. 1946. თბილისი

კინორეჟისორი, სცენარისტი, პედაგოგი



- 1965-1966 – ვსწავლობდი საქართველოს შოთა რუსთაველის  
თეატრალურ ინსტიტუტში თეატრმცოდნეობის ფაკ-ზე.  
1966-1971 – დავამთავრე მოსკოვის საკავშირო კინოინსტიტუტი  
(ВГИК) კინორეჟისურის ფაკ-ტი - რომან კარმენის სახელოსნო.  
1971 – დიპლომი - ფილმი „დარიალის ჩანახატები“.

### ფილმები:

- 1969 – „კავკასიური ნოხები“ - სცენარის ავტორი. 8 წთ. ფერადი, რეჟისორი დ. ადამია,  
„მემატიანე“. პრიზი ლონდონის სარეკლამო ფილმების ფესტივალზე, 1970
- 1970 – „დარიალის ჩანახატები“ - რეჟისორი. 17 წ. ფერადი, დოკუმენტური, „საქტელეფილმი“.  
პრიზები შვეიცარიაში, შვეციაში, რუსეთში, უკრაინაში, უზბეკეთში, საქართველოში.
- 1973 – „ლაზარეს თავგადასავალი“ - დამდგმელი რეჟისორი (ქართლოს ხოტივართან ერთად)  
„ლასარილიო ტორმესელისა“ და გიორგი ლეონიძის მოთხრობის „სოფლის  
შარაგზაზე“ მიხედვით. სრულმეტრაჟიანი, 68 წ., ფერადი, მხატვრული.  
„საქტელეფილმი“. პრიზები იუგოსლავიაში, უზბეკეთში და სხვ.
- 1975 – „ჩირიკი და ჩიკოტელა“ - 48 წ. ფერადი, მხატვრული - გიორგი ლეონიძის  
მიხედვით. დამდგმელი რეჟისორი ლევან ხოტივართან ერთად  
„ქართული ფილმი“. პრიზები სხვადასხვა ფესტივალზე
- 1978 – „გუშინდელნი“ - კინორეჟისორი, სცენარის ავტორი. სრულმეტრაჟიანი (116 წ.), შ/თ  
რუსთაველის თეატრის სპექტაკლი - რეჟისორი თ. ჩხეიძე. „საქტელეფილმი“
- 1982 – „დიმიტრი მეორე“ - სცენარის ავტორი და დამდგმელი რეჟისორი  
სრულმეტრაჟიანი, 134 წ., ფერადი, მხატვრული. „ქართული ფილმი“
- 1988 – „მდგმურები“ - მთავარი როლი (ამირანი). სრულმეტრაჟიანი, 83 წ. ფერადი,  
მხატვრული. რეჟისორი დ. ჯანელიძე. „ქართული ფილმი“. ბევრი სხვადასხვა პრიზი,  
მათ შორის – „ოქროს ანტიგონე“ ფესტივალზე „მონპელიე 1991“.
- 1990 – „ქართველები მიაღწევენ თავისას“ - დოკუმენტური მასალის რეჟისორი.  
დიდი ბრიტანეთის Cannal IV და ქართულ-ინგლისური ფირმა „მთვარის გლობუსი“
- 1990 – „ცხელი კავკასია - ყარაბაღი“ - პროდიუსერი, დოკუმენტური მასალის რეჟისორი.  
დიდი ბრიტანეთის Channel - 4 და ქართულ-ინგლისური ფირმა „მთვარის გლობუსი“
- 1995 – „შეყვარებული კულინარი“ - პროდიუსერი. 104 წ. ფერადი, მხატვრული. რეჟ. ნ.  
ჯორჯაძე, 1996 წელს ფილმი გავიდა Oscar-ის ნომინაციაზე (ანუ შევიდა 5 საუკეთესო  
არაინგლისურენოვანი ფილმის სიაში). პრიზები პრალაში, რიგაში, ლიონში და სხვა. Les  
Films du Rivage (საფრანგეთი), Studio 1+1 (ბელგია), კ/სტუდია „ადამ და ევა“ და სხვ.
- 2000 – დავიწყე განხორციელება ჩემი იდეისა „საქართველოს ხმოვანი ქრონიკა - ქართული  
ხალხური სიმღერის ენციკლოპედია“. მუსიკალური სასწავლო ფილმების სერიალი.  
რეჟისორი, სცენარის ავტორი და პროდიუსერი. გადავიღე: 1) 100-დე ძველი ქართული სიმღერა  
უხუცესი მომღერლების შესრულებით; 2) ანსამბლ „მართვეს“ მთლიანი პროგრამა; 3)  
მრავალხმიანობის I საერთაშორისო სიმპოზიუმის შვიდი კონცერტი. ანუ: მაღალხარისხოვანი  
ციფრული აპარატურით გადაღებული, ხმებად დაყოფილი, ცალკე აუდიოარხებზე ჩაწერილი  
და ანსამბლში ერთიანი ხალხური სიმღერის უნიკალური მასალა სასწავლო სერიალისათვის.  
დიდი მასალა თხოულობს დიდძალ სახსრებს.  
ფილმების დასამთავრებლად ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები სპონსორებთან.
- 2001 – „დიდი აბრეშუმის გზა“ - რეჟისორი, პროდიუსერი. ხუთი შემეცნებითი ფილმი  
ევრაზიული დერეფნის შესახებ ევროკავშირის შეკვეთით – კ/ს „ადამ და ევა“.
- 2003 – „ახალი აბრეშუმის გზა“ - რეჟისორი, სცენარის ავტორი. 52 წ. სრულმეტრაჟიანი  
შემეცნებითი ფილმი ევრაზიული დერეფნის შესახებ. კომპანია „ქართული  
ტელეფილმი“. ფილმი დაუმთავრებელია უსახსრობის გამო.
- 2003 – „მარკოზის სახარება“ - დამდგმელი რეჟისორი. სცენარის ავტორი, პროდიუსერი  
სრულმეტრაჟიანი, 53 წ. ფილმი დაუმთავრებელია უსახსრობის გამო.
- 2005 – „ლესაიმ!“ - დოკუმენტური სრულმეტრაჟიანი, 53 წ. რეჟისორი, სცენარის ავტორი და



2005-07 - „ირანის დიდი კულტურა. დაგვიანებული რეპორტაჟი ირანიდან“ - მასალა დოკუმენტური სრულმეტრაჟიანი, 52 წ. ფილმისათვის. ფილმი დაუმთავრებელია უსახსრობის გამო.

2005-07 - „ჩვენებურები და ჩვენებურები...“ - მასალა თურქეთიდან (80 წ) დოკუმენტური ფილმისათვის. ფილმი დაუმთავრებელია უსახსრობის გამო.

2008 - „ისლამი საქართველოში“, სრულმეტრაჟიანი, 53წ, დოკუმენტური ფილმი. რეჟისორი, სცენარის თანაავტორი და პროდიუსერი.

აშშ საელჩოს დემოკრატიის კომისიის (U.S Embassy's Democracy Commission) შეკვეთა.

2011 - „ქართული ფეხბურთი“. დავიწყე მუშაობა ექვსსერიან მხატვრულ-დოკუმენტურ ფილმზე კინოსტუდია „ქართულ ფილმში“. სცენარის ავტორი აკა მორჩილაძე. ფილმი დაუმთავრებელია უსახსრობის გამო.

2012 - „თამარი“ - დავამთავრე სამუშაო სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის სცენარზე.

ვამთავრებ სამუშაოს მხატვრული ფილმის სცენარსა და პროექტზე. დავამთავრე სამუშაო სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის სცენარზე.

დაწერილი მაქვს სცენარები შემდეგი ფილმებისათვის:

„კავკასიური ნოხები“, „გუმინდელნი“, „დიმიტრი მეორე“, „ახალი აბრეშუმის გზა“, „მარკოზის სახარება“, „ლეხაიმი“, „ისლამი საქართველოში“ ვითამაშე მთავარი როლი (ამირანი) დ. ჯანელიძის ფილმში „მდგმურები“,

1986-92 წწ. ვიყავი კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ახალგაზრდული შემოქმედებითი გაერთიანება „ადამ და ევას“ სამხატვრო ხელმძღვანელი, სადაც გაკეთდა ისეთი ფილმები, როგორცაა თ. ბაბლუანის „უძინართა მზე“, ლ. ზაქარეიშვილის „ისინი“, ა. ცაბაძის „ღამის ცეკვა“, გ. ჩოხელის „ადდგომის ბატკანი“, „ცოდვის შვილები“ და სხვ;

როგორც პროდიუსერმა ვიმუშავე შემდეგ ფილმებზე: „ქართველები მიაღწევნ თავისას“, „ცხელი კავკასია - ყარაბაღი“, „შეყვარებული კულინარი“, „დიდი აბრეშუმის გზა“, „ქართული ხალხური სიმღერის ენციკლოპედია“ და სხვა.

#### პედაგოგიური მოღვაწეობა:

1975-დან - დღემდე ვასწავლი კინორეჟისურასა და მონტაჟს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში:

1. 1974-1979 - მონტაჟის პედაგოგი კინორეჟისორთა ჯგუფის პირველი გამომწვევისა;
2. 1977-1983 - კინორეჟისორთა სახელოსნოს ხელმძღვანელი;
3. 1993-1997 - კინორეჟისორთა სახელოსნოს ხელმძღვანელი;
4. 1994-2001, 2001-2006 პირველი ჩეჩენიკინორეჟისორების სახელოსნოს ხელმძღვანელი
5. 2007-2011 - მხატვრული ფილმის რეჟისურის ჯგუფი;
6. 2012 - მხატვრული ფილმის რეჟისურის ჯგუფი (ამჟამად მეორე კურსი);

#### სამსახური:

1968-1974 - საქართველოს ტელეფილმების სტუდია. კინორეჟისორი;  
1974-დან - დღემდე - კინოსტუდია „ქართული ფილმი“. კინორეჟისორი;  
1986-1991 - კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ახალგაზრდული შემოქმედებითი გაერთიანება „ადამ და ევას“ სამხატვრო ხელმძღვანელი;  
1988-1992 - ქართულ-ინგლისური ფირმა „მთავარის გლობუსის“ გამგეობის წევრი, დირექტორი;  
1992-1999 - კინოსტუდია „ადამ და ევას“ დირექტორი, პროდიუსერი;  
2005-2006 - კინოსტუდია „მემატინის“ დირექტორი;

2000 წელს დავწერე საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდიის პირველი ფილმების შექმნის ისტორია - „ესაა შენი სამშობლო, ბაღლო“. დაიბეჭდა სატელევიზიო ალმანახში „ტელეფილმი - 30“ და პერიოდულ პრესაში.